

2. თეორიული წანამძღვრები / კვლევის ხერხები

ნაშრომი აგებულია ტრადიციული/კლასიკური გრამატიკის მოდელზე. მის უშუალო თეორიულ წანამძღვრებად შეიძლება დასახელდეს: ვალენტობის თეორია, უშუალო შემადგენელთა გრამატიკა, ფუნქციონალური გრამატიკა, ასევე ლოგიკური სინტაქსი და შინაარსზე ორიენტირებული გრამატიკა. ბუნებრივია, ამან არ გამოორიცხა ცალკეულ ენობრივ კანონზომიერებებში წვდომის მიზნით გენერატიული გრამატიკის ხერხების (სუბსტიტუციის / პერმუტაციის / ტრანსფორმაციის / პარადიგმის აღდგენისა და ა.შ.), ისევე როგორც შინაარსზე ორიენტირებული გრამატიკის კვლევის მეთოდების (სემურ-კომპონენტური ანალიზის / სემანტიკური სელექციის / პერიფრაზირებისა და ა.შ.) გამოყენება. საჭიროდ ჩავთვალეთ, მასალის მიწოდების დესკრიპტიული/აღწერილობითი ფორმა გარკვეულწილად ნორმატიულობის/პრესკრიპტიულობის პრინციპებისთვის დაგვექვემდებარებინა, რათა ენის შემსწავლელთათვის საშუალება მიგვეცა, სწორი/მისაღები/სასურველი ენობრივი ფორმები გაემიჯნათ არასწორისა თუ ნაკლებსასურველისგან, დაედგინათ მათი სტილური სტატუსი და გამოეყენებინათ ისინი ადეკვატურად.

მიუხედავად ნაშრომში მორფოლოგიისა და სინტაქსის სფეროთა/ფუნქციათა მკაფიო დიფერენციაციისა, გარკვეულ შემთხვევებში არ მოვერიდეთ, მასალის მიწოდების მორფოსინტაქსური ფორმისთვის მიგვემართა, რამაც მეტი სიცხადე შესძინა ენობრივ მოვლენათა პარალელურ წარმოჩენას პარადიგმატულსა და სინტაგმატურ განზომილებებში.

გამოკვლევის დანიშნულებიდან გამომდინარე, მის მიზანს არ წარმოადგენდა არც დიაქრონიული ექსკურსი ენობრივი სისტემის განვითარების ისტორიაში და არც მისი შესწავლის თანამედროვე ვითარების მიმოხილვითი აღწერა. არ ჩავთვალეთ საჭიროდ სხვადასხვა მკვლევართა შეხედულებების ურთიერთშეჯერება-შეპირისპირების ფონზე პრობლემათა გამოკვეთა და საკუთარ ორიგინალურ მოსაზრებათა საგანგებო ხაზგასმა (თუმცაღა ნაშრომი მათ მრავლად შეიცავს და ამ თვალსაზრისით მონოგრაფიულ ხასიათსაც ატარებს). შემსწავლელთათვის ყურადღების გაფანტვის თავიდან აცილების მიზნით მოვერიდეთ გამოყენებულ ნაშრომთა ციტირებას და საკმარისად მივიჩნიეთ გამოკვლევისთვის მკაცრი შერჩევის პრინციპზე შედგენილი ბიბლიოგრაფიული ჩამონათვალის დართვა, რომელიც დაინტერესებულ მკითხველს ამის თაობაზე მიაწვდიდა ინფორმაციას.

მართალია, ტექსტის პარამეტრების კვლევა არ ყოფილა ჩვენი უშუალო მიზანი, მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში (მაგ.: პასივის სემანტიკური პოტენციალი ტექსტის გაშლა-აგების თვალსაზრისით / ნაცვალსახელის დეიქტური ბუნება / განსაზღვრული და განუსაზღვრელი არტიკლის ფუნქციონირება ტექსტში / ელიფსური წინადადებების ხვედრითი წილი სპეციფიკური ჟანრის ტექსტებში და ა.შ.) საჭიროდ ჩავთვალეთ ასევე, მკითხველისთვის ზოგიერთი აქტუალური ინფორმაცია ტექსტის აგების შესახებაც მიგვეწოდებინა.

ნაშრომი უსასრულოდ რომ არ გაზრდილიყო, თავი ავარიდეთ ენის ფონოლოგიური სისტემის აღწერას, გრაფემული და ფონემური ინვენტარის შეპირისპირებით ანალიზს, ისევე როგორც პროსოდიკულ პლანში გერმანული წინადადების სპეციფიკურობების წარმოჩენას, თუმცა შევეცადეთ, მკითხველისთვის საჭიროებისამებრ (მაგალითად, წინადადების საკომუნიკაციო ტიპების განხილვისას) ამ მიმართულებითაც მიგვეწოდებინა აუცილებელი ინფორმაცია.

იგივე ითქმის სიტყვანარმოებაზეც, კერძოდ: სიტყვათმანარმოებელ ელემენტთა განხილვისას უპირატესად მათი სტრუქტურულ ასპექტში აღწერით შემოვიფარგლეთ და მხოლოდ ნაწილობრივ/საჭიროებისამებრ შევეხეთ მათ სემანტიკას. ამასთანავე ყოველი კონკრეტული მეტყველების ნაწილისადმი მიძღვნილ თავში ერთგვარი უპირატესობა მივანიჭეთ მისი სიტყვანარმოებითი პოტენციალის აღწერას პირველ რიგში ფორმანარმოებით პოტენციალთან მიმართებაში. ასეთი თანმიმდევრობით მასალის მიწოდებით შევეცადეთ შემსწავლელთათვის თავდაპირველად იმის გაცნობიერებას, თუ რა კომპონენტებისგან/მორფემებისგან შედგება ესა თუ ის მეტყველების ნაწილი, როგორია მისი შინაგანი სტრუქტურა, ხოლო შემდეგ იმისა, თუ რა გრამატიკული შინაარსების გადმოცემა შეუძლია მას.